



## ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 18

27/05/2019

### ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდაში მდებარე გეოგრაფიული ობიექტის- სკვერის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის შესაბამისად:

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდაში მდებარე სკვერს ეწოდოს „როინ სამსონიძის სახელობის სკვერი“.
2. განკარგულება, რეაგირებისათვის, გაეგზავნოს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიას.
3. განკარგულება, მიღებიდან 10 დღის ვადაში გაეგზავნოს:
  - ა) სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს;
  - ბ) სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს;
  - გ) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს;
  - დ) საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.
4. განკარგულება მიღებიდან 10 დღის ვადაში გამოქვეყნდეს სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე.
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. №62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

